პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | კვირა, 8 ივნისი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 519 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ტელ. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## განცხადება.

**ორშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.**

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1) ზაჭესკომის სამუშაოთა უფროსის მოხსენება.
2) მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა

პრეზიდიუმი.

## გლეხთა კომიტეტების კონფერენცია.

ამ დღეებში გაიხსნა სრულიად საქართველოს გლეხთა ურთი-ერთ დახმარების კომიტეტების კონფერენცია, რომელიც მოიწვია სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა.

გლეხთა კომიტეტები—ეს ახალი საქმეა საქართველოში. სულ ერთი წელია, რაც ხსენებული ორგანიზაციები აღმოცენდენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში.

მიუხედავათ ასეთი მცირე დროისა, გლეხკომების რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ დღეს იშვიათად ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც ის არ არსებობდეს.

გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის აღორძინების საქმეში.

როლი, რომელიც მათ აქვთ დაკისრებული, მეტად საპასუხისმგებლოა და დიდი. მათ მოვალეობას შეადგენს სოციალურ უზრუნველყოფა ღარიბ-ღატაკი გლეხების, ქვრივ-ობლების, სტიქიურ მოვლენისგან დაზარალებულთა, სოფლის ინვალიდების და სხ. გლეხკომები აგრეთვე ყოველგვარ დახმარებას უწევენ ღარიბ გლეხს, რათა გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა; ამ მიზნით გლეხკომები აწვდიან მას სამუშაო იარაღს, საუკეთესო ხარისხის თესლს და სხ.

გლეხკომების მატერიალური საშვალებები ერთის მხრივ განისაზღვრება წევრების შემოტანილ წვლილისაგან და მეორეს მხრივ მათ განკარგულებაში უკვე მოიპოება, მრავალი სახნავ-სათესი მიწები, წისქვილები, ქარხნები, სახელოსნოები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვა.

გლეხთა კომიტეტების მოღვაწეობა არ იფარგლება მარტო დახმარებით. ისინი ფართე მონაწილეობას ღებულობენ სოფლის კულტურულ აღმშენებლობითი მუშაობაში.

გაყავთ გზები, აწყობენ წიგნთსაცავ-სამკითხველოებს, სახალხო სახლებს, სკოლებს და სხვა.

საქართველოში გლეხკომებმა მიუხედავათ იმისა, რომ მათ აქვთ მხოლოდ ერთი წლის არსებობის ისტორია, ბევრის გაკეთება შესძლეს და საკმაოდ გამოიჩინეს უნარიანობა.

აღნიშნული კონფერენციის საგანს შეადგენს ჯამი გაუკეთოს გლეხკომის მუშაობას დღიდან მათი დაარსების, ვიდრე დღემდი, გაითვალისწინოს ყველა მისი მიღწევები და შეცდომები და გამოიმუშავოს მომავალი მუშაობის გეგმა.

გლეხთა კომიტეტები ღარიბ, მშრომელ გლეხების ორგანიზაციაა, რომელიც ურყევი საფუძველია ახალი აღორძინებული სოფლისა.

რამდენათ გლეხკომების მუშაობა გაძლიერდება, გაფართოვდება, იმდენათ ჩვენი სოფლის აღდგენის საქმე, მისი სოციალისტური საფუძვლებზე მოწყობა-ორგანიზაცია სწრაფი ნაბიჯით წავა წინ.

## ჩვენი პური საზღვარ გარეთ.

### ვაჭრობა ინგლისთან.

6 ივნისს გახსნილ პურის ექსპორტის სრულიად საკავშირო ყრილობაზე, ინგლისში მყოფ სავაჭრო წარმომადგენლობის პურის განყოფილების გამგემ განაცხადა, რომ პირველ ხანებში ჩვენს ვაჭრობას ინგლისთან დიდი დაბრკოლებები ეღობებოდენ წინ, მაგრამ თან და თან ეს დაბრკოლებები დაძლეულ იქნენ და ეხლა ინგლისის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა რუსეთის პურის.

**ვაჭრობა ახლო აღმოსავლეთთან.**

ახლო აღმოსავლეთის წარმომადგენელმა ამხ. ანიკიევმა განაცხადა, რომ სანამ ჩვენ დავიწყებდით ვაჭრობას ახლო აღმოსავლეთთან ამერიკას შემოჰქონდა იქ მთელი მოთხოვნილების 100 პროცენტი. ა. წ. იანვრისათვის ჩვენ შევიტანეთ უკვე 70 პროცენტი ოსმალეთში, მაშინ, როდესაც ამერიკამ ვერ შემოიტანა ვერც ერთი გირვანქა.

**კიდევ მეტ პურს გავასაღებთ**

შემდეგ ამხ. ანიკიევმა აღნიშნა, რომ ჩვენ შევიძლებთ ოსმალეთის ბაზარზე გავანაღდოთ შეტანილ პურის 90 პროც. და საბერძნეთში კი მთელი მოთხოვნილების ნახევარი.

**რუსეთის ჩაი იტალიაში.**

ლენინგრადის საოლქო სავაჭრო პალატამ მიიღო წინადადებები იტალიურ ფირმებიდან სხვა და სხვა ხარისხის ჩაის პარტიების მიყიდვის შესახებ.

## ერიომ მთავრობის შედგენაზე უარი განაცხადა.

### თათბირი ერიოსთან.

პუანკარესთან, პენლევესთან და დიუმორგომთან საუბრის შემდეგ, მილიერანმა გამოიწვია ერიო და მიანდო მას კაბინეტის შედგენა. მთავრობის პროგრამის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლას არ გამოუწვევია არავითარი დავა.

**მილიერანი არ აპირებს გადადგომას.**

საუბრის დროს ერიო შეეკითხა მილიერანს: აპირებს თუ არა იგი დარჩეს პრეზიდენტის პოსტზე. მილიერანმა უპასუხა, რომ იგი არაა თანახმა ამ საკითხზე მსჯელობის, რაც საზოგადოთ აკრძალულია კანონის მიერ. მილიერანი თავის მოვალეობათ რესპუბლიკისადმი სთვლის დარჩეს პრეზიდენტის პოსტზე 7 წლის ვადის გასვლამდე. შემდეგ მილიერანმა აღნიშნა, რომ იგი მიიღებს ზომებს კონსტიტუციის პატივის ცემის უზრუნველ საყოფათ, რათა აცდენილ იქნას ისეთი პრეცენდენტები, რომელთა შედეგის გათვალისწინება არ შეიძლება.

## ერიომ უარი განაცხადა პრემიერობაზე.

**მილიერანის პასუხის შესახებ, ერიომ განაცხადა, რომ ასეთ პირობებში მას არ შეუძლია ითავოს მთავრობის შედგენის საქმე.**

**მილიერანმა სხვებთან ითათბირა.**

ერიოსთან საუბრის შემდეგ, მილიერანმა ითათბირა მთელ რიგ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, იმის შესახებ თუ ვის მიანდოს მთავრობის შედგენა.

## ს. ს. რ. კ. ცნობის წინ.

მემარცხენე ბლოკის გამარჯვების და ს.ს.რ.კ. საფრანგეთის მიერ ცნობის შესაძლებლობის გამო რუსი ემიგრანტი თეთრგვარდიელები შეშფოთდნენ. ცალკე ჯგუფების ლიდერებმა შეადგინეს ეროვნული ცენტრი ყველა ემიგრანტების გაერთიანების და სხვა ემიგრანტთა ორგანიზაციებთან კავშირის შექმნის მიზნით.

ცენტრი თავს იყრის მაკლაკოვის გარშემო.

## მილიერანს გადადგომა მოუწევს.

საზოგადოებრივ წრეებში ის აზრი სჭარბობს, რომ მილიერანის პრეზიდენტათ დატოვების შანსები თან და თან მცირდება. ფიქრობენ, რომ მისი გადადგომა მოხდება უახლოეს კვირის დასაწყისში.

**ღირსეული მემკვიდრე.**

საფრანგეთის მრეწველთა ორგანო „ჟურნალ ინდუსტრიელ"-ი აღნიშნავს, რომ ძირითად საკითხებში, როგორიც არის: რურის, სარეპარაციო და საფრანგეთის საშიშროებისაგან უზრუნველყოფის საკითხებში, ერიოს პროგრამა არ განსხვავდება პუანკარეს პროგრამისაგანო.

## კამათი გერმანიის რეიხსტაგში.

### პოლიტიკური კამათი რეიხსტაგში.

პოლიტიკური დებატები რეიხსტაგში დაიწყო იმით, რომ სახალხო პარტიის, ცენტრის და დემოკრატების მიერ იქნა შეტანილი განცხადება, სადაც მარქსის მთავრობის დაბრუნებას ხსნიან ნაციონალისტების პოზიციის გამოურკვევლობით ექსპერტების პროექტისადმი. განცხადებაში გამოთქმულია ნდობა მარქსის კაბინეტისადმი და მოითხოვენ სანქარო ზომების გამომუშავებას ექსპერტთა პროექტიდან გამომდინარე საკითხების შესახებ.

**მოითხოვენ კომუნისტებთან ბრძოლას.**

ნაციონალისტების ლიდერმა ვესტარპმა განაცხადა, რომ ნაციონალისტები ყოველთვის მკაცრ ოპოზიციაში იქნებიან მთავრობასთან და კვლავ შეიტანენ უნდობლობის ვოტუმს, რადგანაც მთავრობის პროგრამა არაფერს ამბობს კომუნისტებთან ბრძოლაზე და იგი სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი ექსპერტების პროექტის შესახებ.

**ნაციონალისტების მოთხოვნა.**

შემდეგ ვესტარპმა განაცხადა რომ ნაციონალისტები მოითხოვენ საფრანგეთის გარნიზონების გაყვანას გერმანიის ქალაქებიდან და გერმანიისათვის გარანტიების მიცემას, ფრანგების მისწრაფების შესახებ რეინის და რურის ოლქების გამოყოფისათვის. ნაციონალისტები მონაწილეობას არ მიიღებენ ისეთ მთავრობაში, რომელიც არ დაიწყებს ბრძოლას სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ.

**სოც. დემოკრატის გამოსვლა.**

სოც.-დემოკრატებიდან ილაპარაკა ლებემ, რომელმაც დაიცვა ექსპერტთა პროექტის მიღების აუცილებლობა და აღნიშნა, რომ ნაციონალისტები, მიუხედავათ მათი ხმამაღლა ლაპარაკისა, ბოლოს და ბოლოს იწონებენ შტრეზემანის პოლიტიკას.

მემარჯვენეები და ცენტრის აპოლოდისმენტების ქვეშ ლებემ განაცხადა, რომ რეიხსტაგის გახსნისას კომუნისტების გამოსვლა ეს იყო მხოლოთ „დაკვეთილი სამუშაოს" შესრულება, რომელსაც ზურგს შეაქცევს მუშათა კლასი.

**იმედი აქვთ.**

ლებემ სთქვა, რომ მაკდონალდისა და ერრიოს მთავრობების სათავეი ჩადგომის გამო, იწყება მთელი ევროპის სამშვიდობო ხანა, როგორც დემოკრატიის ტრიუმფი, სოც.-დემოკრატების მეთაურობით.

## კომუნისტების გამოსვლა.

ლებეს საპასუხოთ რუტა ფიშერმა (კომუნისტმა ქალმა) განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატებმა შექმნა ფართო კოალიცია მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ. კომპარტია შეურიგებელი მტერია ექსპერტთა პროექტის.

მხოლოთ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში შესძლებს მუშათა კლასი გაინთავისუფლოს თავი ექსპერტების მიერ დადებულ უღლიდას.

ამხ. ფიშერი ამბობს, რომ იმის შემდეგ რაც სოციალ-დემოკრატებმა დაიცვეს ექსპერტთა პროექტი, მათ არ შეუძლიათ ატარონ მუშათა კლასის პარტიის სახელი.

**ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ.**

ტევტონთა პარტიის ლიდერმა გრეფემ მოითხოვა ექსპერტთა პროექტის უარყოფა და პასიურ წინაალმდეგობათა განახლება.

# ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲔᲡ.

**247 ხმის უმრავლესობით 183 წინაალმდეგ რეიხსტაგმა მოიწონა მთავრობის პოზიცია ექსპერტების მოხსენების საკითხში. წინადადების მიღებას შეხვდენ თანასწორობით.**

# ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲡᲓᲔᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ.

**ᲐᲜᲢᲘᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ**

მაინცის სამხედრო სასამართლომ უკვე დაიწყო გერმანელ კომუნისტების და ფრანგ. ჯარის კაცების პროცესი, რომელთაც ბრალდებათ ანტიმილიტარისტული გამოსვლები და 1-ლ მაისის დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება,

**ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ**

გარდა იმისა, რომ საქსონიაში დაკეტეს ყველა კომუნისტური გაზეთები, რამოდენიმე კვირით აკრძალეს აგრეთვე ტიურინგიის კომუნისტური პრესაც.

**ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა ლეიპციგში 8 ივნისისათვის დანიშნული მუშათა ყრილობა.

# ᲘᲜᲒᲚᲘᲡ--ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

**ᲞᲠᲔᲡᲐ Ს.Ს.Რ.Კ. ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

ლონდონის ფინანსიური წრეების გაზეთები სწერენ, რომ ვიდრე გადაწყდებოდეს საბჭოთა მთავრობისათვის სესხის მიცემის საკითხი, მანამ ს.ს.რ.კ. მთავრობამ უნდა აღიაროს თავისი ძველი ვალდებულებანი და ვალებიო.

**ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲝ.**

„ფინანშიელ ტაიმსი“ სწერს, რომ თანახმათ გენუის და ჰააგის კონფერენციების რეზოლიუციებისა ინგლისელ ბანკირების მემორანდუმი არ შეიძლება ჩაითვალოს ს.ს.რ.კ. შინაურ საქმეებში ჩარევათ.

**ᲩᲕᲔᲜᲪ ᲣᲐᲠᲡ ᲕᲔᲢᲧᲕᲘᲗ.**

გაზეთი „ფეინანშიელ ნიუზი“ სწერს, რომ თუ ს.ს.რ.კ. არ დასთანხმდა მათ მიმართ წარდგენილ წინადადებას, ინგლისაც მოუნდება უარი უთხრას მის უცხოელ მოვალეებს ყოველგვარ პრეტენზიებზე.

# ᲧᲕᲘᲗᲔᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ.

## ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲔᲑᲘ.

თავის რეზოლიუციებში ამსტერდამის ინტერნაციონალი აღნიშნავს, რომ მუშებმა, გარდა ეკონომიურ ბრძოლისა, უნდა აწარმოვონ ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლებობისთვის და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე გავლენისათვის; მუშათა პოლიტიკურ მოძრაბის ხელმძღვანელობა—პარტიების საქმეა, რომელთა ხელში პროფკავშირები არ უნდა იყვნენ უბრალო იარაღად ყველა პარტიებიდან პროფკავშირებთან უფრო ახლო იმყოფება სოციალ-დემოკრატიული პარტია. კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს პროფკავშირებს კომინტერნის მითითიებით, რასაც მიჰყავს მუშათა მოძრაობა განხეთქილებამდი და რეაქციის პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძლიერებამდი.

პროფკავშირთა საბოლოო მიზანია მოსპოს ხელფასისგან დამოკიდებულება, და პროფკავშირთდა მოღვაწეობით მიღწეულ იქნას ეს მიზანი სახელმწიფოებრივ და სოციალურ რეფორმების გზით.

რეზოლიუციაში **ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**, ნათქვამია, რომ ეს ბრძოლა უნდა გამოიხატებოდეს დაწესებულების მუშათა გაფიცვებით. პროფკავშირებმა უნდა აწარმოონ პროპაგანდა ხალხთაშორის მტრობის მოსპობის და საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს დაარსების შესახებ.

რეზოლიუციაში წამოყენებულია მოთხოვნილება დაწესებულ იქნას კონტროლი იარაღისა და ამუნიციის ქარხნებზე, აიკრძალოს კერძო იარაღის ქარხნების ვაჭრობა და მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება აკრძალვა სამხედრო მასალებით ვაჭრობისა.

**წინადადება, რომელიც მოითხოვდა კოლექტიურ უარს სამხ. სამსახურზე და პროფკავშირთა წესდებაში ომის წინააღმდეგ ბრძოლის მუხლის შეტანას—უარყოფილ იქნა.**

# ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲓᲐᲛ--ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲕᲐᲠᲗ.

საბჭოთა პროფესიონალურ კავშირების სრულიად საკავშირო საბჭომ მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესის თავმჯდომარეს შემდეგ მიმართვით:

„სრულიად რ. პ. კ. ს. პლენუმის დადგენილებით, პრეზიდიუმი აღნიშნავს კონგრესზე ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლების გამოსვლას ვენაში, ამსტერდამის კავშირების, საბჭოთა კავშირებთან დაახლოების სასარგებლოდ. პლენუმი, თავის მხრივ, აცხადებს სრულ თანხმობას განსაზღვრულ პირობებში მიიღოს ინგლისის პროფკავშირთა წინადადება, რაც ექვს გარეშეა ეთანხმება მსოფლიოს პროფესიონალურად ჩამოყალიბებულ მუშათა საუკეთესო ნაწილის სურვილებს“.

**ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲔᲓ-ᲣᲜᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ.**

როსტას კორესპონდენტთან საუბრის დროს ტრედ-უნიონის მდივანმა ბრომლეიმ განაცხადა:

**Ს. Ს. Რ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ—ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲠᲝᲤ-ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ.**

„ჩვენი წინადადებები ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე ს. ც. ს. პროფ. საბჭოსთან მოლაპარაკების განახლების შესახებ დამყარებული იყო იმ შეხედულებაზე, რომ რუსეთის ხალხი ვერ იქნება გამორიცხული საერთაშორისო პროფ-მოძრაობიდან. რევოლიუციის შემდეგ ინგლისის პროფკავშირში გამოვიდენ მთავრობის ბოიკოტის პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვდენ საბჭოთა რუსეთის ცნობას და მასთან ეკონომიურ და დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებას. ცნობის საკითხი უკანასკნელ საარჩევნო კამპანიის დროს ძირითადი პუნქტი იყო და მან გადამწყვეტი როლი ითამაშა არჩევნებში.

# ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲔᲓ-ᲣᲜᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲔᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

ამ ჟამად ჩვენი მთავრობა აწარმოებს საბჭოთა დელეგაციასთან მოლაპარაკებას სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ, ამათ შორის, პირველ რიგში სდგას საკითხი კრედიტების შესახებ. ინგლისის პროფ საბჭოები გამოვლენ საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის მოთხოვნით. ჩვენ ამას მოვითხოვთ მით უფრო, რომ ეს ჩვენი მუშათა ბაზარზე გაუმჯობესებს მდგომარეობას და გააძლიერებს ინგლისის საგარეო ვაჭრობას. ჩვენ ვერ ვაწარმოებთ საბჭოთა პროფ-კავშირების წინააღმდეგ სხვა გვარ პოლიტიკას, გარდა იმისა, რომელსაც ვაწარმოებთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანად. მიუღებელია, რომ ვალების საკითხი, რომელიც არსებობდა ინგლის და რუსეთის წინა მთავრობების შორის, შეიქმნეს მიზეზად შეთანხმების მიუღწევლობისა. ვალის საკითხზე შეთანხმება მცირე მნიშვნელოვანია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღორძინება. ჩვენ ვაცხადებთ საბჭოთა პროფ-კავშირების წარმომადგენელთა საყურადღებოდ, რომლებიც აქ დელეგაციის წევრებათ ითვლებიან, რომ თუ მოლაპარაკება არა ნაყოფიერად ჩატარდება მაშინ ის კი არ უნდა შეწყდეს, არამედ ამის შესახებ ჩვენ უნდა გვაცნობოთ. ჩვენ ჩავერევით ამ საქმეში და მოვიხმართ ჩვენ გავლენას, რომ მოლაპარაკება სასურველად „ასრულდეს“

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

**ᲡᲡᲠᲙ-Ს „ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ.**

სსრკ ს „ქიმიის მეგობართა“ ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ტროცკი, მოადგილეებად ამხ.-ამხ. ფრუნზე, პიატაკოვი და იგნატიევი. მოწყობილია 8 სექცია: საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, აგიტაცია-პროპაგანდის, სამოსწავლო-გამომცემლობის, საწარმოო, საფინანსო და სამეცნიერო-ტეხნიკური.

სექციის გამგეებმა 2 კვირაში უნდა წარმოადგინონ სამუშაო გეგმა, გამოჰყონ პრაქტიკული ზომები, რომლებიც სწარმოებენ ან იწარმოებენ ახლო მომავალში.

**ᲛᲔᲤᲘᲡ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ.**

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით აკრძალულია უცხოეთიდან მეფის ვერცხლის ფულის შემოტანა საბჭოთა კავშირის საზღვრებში.

# ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

**სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რათა ყოველ წითელ არმიელს მიეცეს უფლება გააგზავნოს უფასოდ ყოველ თვიურად სამი ამანათი, სამი უბრალო დახურული წერილი, ან სამი ღია ბარათი.**

# ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

დონის, როსტოვის და ჩერკასკის რაიონებში ხეხილის მოსავალი მცირე იქნება. ღვინის მოსავალი კარგი იქნება.

ცარიცინში გვალვის გამო ცუდი პირობებია მოსავალისათვის. ამ ბოლო დროს ხშირი წვიმების გამო სათესი ცოტათი მოკეთდა. უკრაინაში მოსავლის საქმე ცოტათი უმჯობესდება ხშირი წვიმების გამო.

# ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ „ᲓᲝᲑᲠᲝᲥᲘᲛᲘ“-Ს ᲘᲓᲔᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲯᲐᲠᲨᲘ.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია ემზადება ომისათვის. ეს ბოლშევიკების გამოგონილი კი არ არის. არამედ ფაქტია.

საფრანგეთი, ამერიკა, ინგლისი, იაპონია—აი დიდი იმპერიალისტური ქვეყნები, რომლებიც არაფერს შურავენ შეიარაღებულ ძალთა გასადიდებლად.

მომავალ ომთან შედარებით გასული იმპერიალისტური ომი მონაგონი არ იქნება. ახალი ომი სულ ახალ საშუალებებით იწარმოებს. მომავალ ომში გადამწყვეტ როლს ითამაშებს სხვა და სხვა გამანადგურებელი გაზები. მომავალი ომი—ქიმიური ომია. ვინც ძლიერი იქნება ქიმიურ მრეწველობით ის მოიგებს ომს. საჰაერო ფლოტს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მომავალ ომში. მაგრამ თუ საჰაერო ფლოტი მოკლებული იქნა გამანადგურებელ გაზებს, ის ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას.

ეს იცის ბურჟუამ. ის აფართოებს ქიმიურ მრეწველობას. საფრანგეთში სამხედრო ქიმიკოს ინჟენერთა განსაკუთრებული კორპუსია შექმნილი. საფრანგეთი აძლიერებს სამხედრო-ქიმიურ მრეწველობას. ასევე იქცევა ინგლისიც. მაგრამ ამერიკას ვერც ერთი ვერ შეედრება. ამერიკა ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, ცხადია მას ყველაზე მეტი საშუალება აქვს სამხედრო-ქიმიურ მრეწველობის გასავითარებლად.

ასე ხდება ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მხოლოდ საბჭოთა კავშირი დღემდე არ აქცევდა ყურადღებას ქიმიურ მრეწველობის განვითარებას. ეხლა კი საბჭოთა კავშირშიაც დღის წესრიგში დადგა ქიმიური მრეწველობის განვითარება.

ამხ. ტროცკიმ ისროლა ლოზუნგი ქიმიის მეგობართა საზოგადოების („დობროქიმ“) დაარსების და ქიმიურ მრეწველობისათვის დიდი ყურადღების მიქცევის შესახებ. ეს სწორედ დროული იყო. შეიძლება ითქვას რომ დაგვიანებულიცაა. მომავალში გადამწყვეტი შეტაკება აუცილებელია. გადამწყვეტ ბრძოლისათვის ყოველგვარ საშუალებებით იქნება შეიარაღებული მსოფლიო ბურჟუაზია. საბჭოთა კავშირს არ შეუძლია არავითარ შემთხვევაში არ ემზადოს მომავალ ომისათვის. საბჭოთა კავშირს დღეს სურს მშვიდობიანობა. ეს ყველასათვის ცნობილია. მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მზადება აუცილებელია.

და რადგან ქიმია გადამწყვეტ როლს ითამაშებს მომავალ ომში, საბჭოთა კავშირსაც უნდა ქონდეს საკუთარი ძლიერი ქიმიური მრეწველობა.

ამხ. ტროცკის მოწოდებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი გამოძახილი პოვა საბჭოთა კავშირში, მთელ რიგ ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში არსდება „დობროქიმი“-ს საზოგადოებანი. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ გააძლიერებენ და გაამაგრებენ „დობროქიმ“-ს. ასეთი გამოძახილი ნიშანია საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ მდგომარეობის შესაფერად დაფასების და ქიმიურ მრეწველობის განვითარების აუცილებლობის.

„დობროქიმი“-ს იდეა ჩვენში ჯერ ახალია. მომავალში დიდი დაბრკოლებანი და სიძნელენი მოელის მას. მაგრამ საბჭოთა კავშირის მშრომელნი შესძლებენ ქიმიურ მრეწველობის შექმნას.

საჭიროა „დობროქიმი“-ს იდეის პროპაგანდა ქართულ წითელ ჯარში. კავ. წით დროშიან არმიის ნაწილებში უკვე დაარსდა „დობროქიმი“-ს წრეები. ჩვენ ჯარში კი ამ მხრივ მგონი არაფერი გაკეთებულა. ვიმეორებთ არამც თუ საჭიროა, არამედ აუცილებელია ქართულ წითელ არმიაში ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების დაარსება. არმია კარგად უნდა გაეცნოს „დობროქიმი“-ს იდეას.

ქართულ წ.-ჯარში მომუშავე ქიმიურ მუშაკებიდან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მოუწოდებთ მათ გამოთქვან თავისი აზრი და შეუდგენ მუშაობას. ს. პ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## მესანგრეები პირველად გაუთხრით საფლავს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

ჩვენს ნაწილში—როგორც სპეციალურ დანიშნულების ტეხნიკურ ნაწილში 1901 წ. დაბადებულთა დემობილიზაცია არ მომხდარა.

ჩატარებული იქნა მხოლოდ ნაწილობრივი დემობილიზაცია, რომელიც გამოიხატა ოჯახის ერთად ერთი მარჩენალთა უვადო შვებულებაში გაშვებით. წასულების ადგილები ჩვენს ნაწილში დაიკავეს ახლად წვეულებმა. მათთან დამოკიდებულება, როგორც ძველ არმიელებს, ისე უფროს შემადგენლობის მხრივ ძმური და მეგობრულია. განსაკუთრებული მზრუნველობით ვეპყრობით ახლებს და ისინიც მხიარულად და თავისუფლად გრძნობენ თავს.

ხშირად იმართება ბაასი ძველსა და ახლებს შორის, რომლის დროსაც ძველები აცნობენ წითელი ჯარის ყოფა ცხოვრების საკითხებს, მათ მომავალ მუშაობას და როგორ უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობა. ისინიც გულდასმით გვისმენენ და მათ სახეზე კმაყოფილებით ათამაშებული ღიმი, იმის მომასწავებელია, რომ სინდისიერად და პირნათლად შეასრულებენ თავის ვალდებულებებს. მეორე მხრივ არა ნაკლები ყურადღება ექცევა მათ მიერ პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში ცოდნის შეძენის აუცილებლობას.

ახალწვეულებს მეტად გაეხარდათ, როდესაც გაიგეს, რომ ისინი შეისწავლიან თუ როგორ უნდა ააგონ ხიდები, გაიყვანონ გზები და სხვა.

### საბანაკოთ გასვლა უფრო გაამტკიცებს ჩვენს ცოდნას.

5 ივნისს გვაცნობეს, რომ უნდა მოვემზადებულიყავით ბანაკად გასვლისათვის. ამ გარემოებამ ერთობ გაგვახარა, ამ სიცხეებში სუფთა ჰაერზე და იგიც აგარაკზე გასვლა მეტად სასიამოვნო შეიქნა და მეორე მხრივ ჩვენ სპეციალურ ცოდნის შესაძენად ველზე გასვლა პირველი საშვალებაა.

ასტყდა ასეულში ფუსფუსი, ყველა შეემზადა, დიდის მზრუნველობით გადაგვაქვს სამხედრო სადგურზე ჩვენი ასეულის მთელი ქონება. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ახლად მოსული არმიელები. უფშემადგენლობაც ჩვენთანაა. ჩვენი უფშემადგენლობა ჩვენთან ერთად ძმურად ეწევა საერთო საქმისათვის მძიმე უღელს.

ზუბიაშვილი.

## როგორ მიმდინარეობს მობილიზაცია ადგილებზე*).

(შთაბეჭდილებანი).

დიდი მუშაობა სწარმოებს მობილიზაციის შესაფერი ჩატარებისათვის. ამ საქმეში ჩაბმულია მთელი პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები და თვით ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილება.

მობილიზაციას და დემობილიზაციას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, როგორც გლეხებ შორის საუკეთესო საშვალებას საagitაციო მუშაობის ჩატარებისათვის.

ერთი წლის განმავლობაში მესამეთ ვახდენთ მობილიზაციას ჩვენი წითელი ჯარის შესავსებათ.

მიმდინარე მობილიზაცია ბევრათ განსხვავდება წარსულ მობილიზაციებიდან.

მაგალითად, წარსულ მობილიზაციების ჩატარებაში მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ პარტიული და საბჭოთა აპარატები, ხოლო მასა კი სრულიად ჩამოშორებული იყო ამ საქმეს.

დღეს სულ სხვას ვხედავთ სოფლად. ჩვენ მიერ გაგზავნილ ამხანაგებს ადგილებზე სამობილიზაციო კომპანიის ჩასატარებლად, დიდ დახმარებას უწევენ უვადო შვებულებაში წასული არმიელები.

ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ორატორი გამოდის მიტინგზე და უხსნის ხალხს წ. არმიის მოვალეობას და მის კულტურულად აღზრდაზე წ. ჯარის რიგებში, რის შემდეგ სიტყვებს ღებულობენ ყოფილი წ. არმიელები და აცნობენ მიტინგს, რომ ორატორს ბევრი დარჩა უთქმელი, რაც წ. ჯარში კეთდება და ამნაირად მოუწოდებენ ხალხს შემდეგი სიტყვებით:

„ვისაც გინდათ, რომ თქვენმა შვილებმა შეიძინონ რამე, არ დააყენოთ სახლში და გააგზავნეთ ყაზარმებში“.

ასეთი აქტიობა წარსულ მობილიზაციაში მასას არ მიუღია და ეს უნდა მიეწეროს წითელი ყაზარმის დამსახურებას რადგან იქ ღებულობენ ჩვენი გლეხის შვილები განვითარებას,

სიხარულით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ყოფილი წითელ არმიელები სოფელში აურჩევიათ საბჭოების თავმჯდომარეებათ. ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა. ეს გარემოება გვავალებს, მომავალში უფრო ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი ახლად წვეულების პოლიტიკურად აღზრდას და ამით შევქმნით ჩვენს რესპუბლიკებში ახალი გლეხური ძალებით ახალ სოფლებს. ეს კი დაგვიახლოვებს ჩვენს საბოლოო მიზანს—კომუნიზმს!

ს. ლ.

*) ცნობები შეკრებილია მეორე და მესამე ლეგიონების რწმუნებულებისაგან.

## პარტიული ცხოვრება

### პარტიული მუშაობის ფრონტზე წითელ ჯარში.

#### პირველ ლეგიონში.

შაბათს, 31 მაისს, მოხდა პირველ ლეგიონის კომუჯრედების გაერთიანებული დახურული კრება, რომელსაც დაესწრენ კომკავშირის წევრებიც.

კრებაზე იყვენ აგრეთვე პოლიტ-განყოფილების პარტაღმშენებლობის უფროსი ამხ. ბერიძე და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღის წესრიგში, საკითხთა შორის, იყო ამხ. ბერიძის მოხსენება ჯარში პარტმუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა პარტდისკუსიით გამოწვეული საერთო პარტმუშაობის გაცხოველება და მასთან „ლენინის მოწოდებას“-თან დაკავშირებით პროლეტარული ელემენტებით პარტიის გაძლიერება. ამხ. შეეხო ჯარში შინაპარტიული დემოკრატიის საკითხს და აღნიშნა, მისი სავსებით დაცვის მიუღებლობა ჯარის რიგებში, წითელი ჯარის მუშაობის სპეციფიური პირობების გამო. ამისათვის მთელი ჩვენი მუშაობა ჯარში მიმართული უნდა იყოს მისი აღმშენებლობისაკენ. ამ აღმშენებლობის გამოცდილება ჩვენ საკმაოდ შევიძინეთ ამ რამოდენიმე წლის მუშაობის განმავლობაში. მხოლოდ საჭირო არის გამოცდილების გონივრათ მოხმარა.

პარტ-ორგანიზაციების ძველმა წყობამ დაგვანახვა, რომ კომუჯრედები თურმე მხოლოდ არსებობდნენ და მეტი არაფერი. ხოლო მათმა რეორგანიზაციამ 1923 წლ. დასაწყისში, და მათთვის დღევანდელ სახის მიცემამ დაგვარწმუნა მათ მუშაობის სრულ ნაყოფიერებაში. დღეს ეს ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან წითელ არმიელის ცხოვრებაში არც ერთი წვრილმანი უმნიშვნელო მოვლენაც კი. ამ გზით უფრო ადვილი საქმეა ჩვენივე ამხანაგ. ყოველგვარი ნაკლის გამოსწორება. ამხ. აგრეთვე ეხება სიმთვრალის, ლაქიობის და დაუდევრობასთან ბრძოლის აუცილებლობას თუ კი ასეთი შემთხვევები აღმოჩნდება ან პარტიულ და ან უპარტიო რიგებში. კრებამ მოხსენების ირგვლივ გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: უკანასკნელ პარტდისკუსიამ უსათუოდ გააჯანსაღა პარტ-ორგანიზაცია, რის განვითარება და გაფართოება შესაძლებელ ჰყო პარტიაში პროლეტარულ ელემენტების გაძლიერებამ.

ჯარის აღმშენებლობას მეტად ემჩნევა პროლეტარული ელემენტების სიმცირე და ჯარის განსაკუთრებული მდგომარეობა ქმნის პირობებს, სადაც მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ჯარის აღმშენებლობისათვის და ამ მხრით პარტ-აპპარატი უნდა შეგუებულ იყოს ამ პირობებთან. ათასეულებში არსებულ უჯრედების გადატანამ ასეულებში მიზანს მიაღწია იმ მხრივ, რომ უჯრედები შეიქმნა ბარომეტრი და რეგულიატორი გუნდის მასსის განწყობილებისა, მხოლოდ გვიან იქმნა გამოყენებული ეს საშვალება რაც მომავალში უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს. დისციპლინის მხრივ ჩამორჩენილი ნაწილი პარტ-ამხანაგებისა და განსაკუთრებით კომკავშირელები უნდა იქმნას ჩათრეული საერთო პარტ-მუშაობაში, რითაც აცილებული იქნება მოსალოდნელი გაუგებრობა. უნდა შევებრძოლოთ კარიერიზმს, ლაქიობას და დაუდევრობას, გავაძლიეროთ პოლიტ-სამხედრო შესწავლა, დავხელოვნდეთ მასსის აღზრდაში, და მით მივაღწევთ დასახულ მიზნებს ჯარის აღმშენებლობაში და გავამართლებთ რევოლიუციის დავალებებს.

ამავე კრებაზე გამოყოფილ იქმნა ერთი ამხ. საშეფო კომისიისთვის. განხილულ იქნა რამოდენიმე განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ და შემდეგ კრება დაიხურა.

ძ—ია.

## დამსახურებული იუბილე.

დღეს ქართული პირველი ლეგიონის ორკესტრისა და მისი ხელმძღვანელის ამხ. დოლენკოს სამი წლის მუშაობის აღსანიშნავი საღამოა. პირველი ლეგიონის სამხედრო ორკესტრს სამი წლის არსებობის ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში მან დიდი შედეგების წინაშე დაგვაყენა.

იშვიათი მაესტროს გრძნეულმა ხელმა ოსტატურად გაიელვა პატარა მუსიკოსების წინ და ისინიც ამეტყველდენ საამური ხმებით. 1921 წ. მაისის შემდეგ ლეგიონის ორკესტრის მოწესრიგების საქმეს ხელს კიდებს ამხ. დოლენკო. მისმა მზრუნველმა ხელმა მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო სულ მოკლე ხნის განმავლობაში. მან შეაგროვა უპატრონო, ობოლი ბავშვები და მათ წმინდა გულზე იშვიათური ოსტატობით აღბეჭდა თავისი ცოდნა და საქმისადმი სიყვარული. ამნაირად ლეგიონის სამხედრო ორკესტრს ამ დღიდან მკვიდრი საფუძველი ეყრება.

პირველ მაისის აღლუმზე პაწია ბავშვებისაგან შემდგარი ორკესტრი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ლეგიონმა არ დაივიწყა ამხ. დოლენკოს ასეთი დამსახურება და 6 აპრილს უვადო შვებულებაში მიმავალ წ. მოლაშქრეთა საერთო მიტინგზე, მიუძღვნა მას ოქროს საა-



ამხ. დოლენკო.

თი საპატივისცემო ბარათით, სადაც აღნიშნული იყო მისი ფასდაუდებელი მოღვაწეობა. ვუსურვოთ ჩვენი ჯარის რიგებში ბევრი ყოფილიყოს თავისი საქმის ისეთი მოყვარული, პატიოსანი და ენერგიული მუშაკი, როგორც ამხ. დოლენკოა. ხოლო თვით მას კი პირველი ლეგიონის შემადგენლობა, მისი ორკესტრის საპატივსაცემოთ გამართულ საღამოს გამო, გულწრფელად უსურვებს კიდევ მეტ ენერგიას და ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი წითელ-ლაშქრის რიგებში.

## უვადო შვებულებაში წასულ წით. არმიელების წერილები.

### ახალწვეულებს წითელი ჯარის რიგებისაკენ მოუწოდებთ.

მეშვიდე ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის უმწყობრო გუნდის უფროსებს და პოლიტხელებს ჩემი გულწრფელი სალამი! გისურვებთ გამარჯვებას მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაცვის ფრონტზე. მე მართალია დაგცილდით, მაგრამ სულით თქვენთანა ვარ, თქვენგან გადმოცემულ ცოდნას უშედეგოთ არ ჩავატარებ.

წითელმა ყაზარმამ ბევრი რამ შემძინა და შევეცდები ყველა ეს, მეც სხვას გადავსცე.

თქვენს დავალებებს პირნათლად შევასრულებ და ამით მოვიხდი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე ჩემს მოვალეობას.

ასეთი მიმართულებით ეხლავე დავიწყე მუშაობა და დიდ საერთო სახალხო საქმეში მეც შემაქვს ჩემი მცირე წვლილი.

დავბრუნდი თუ არა ქარხანაში, 1902 წ. დაბადებული ახალგაზრდები გაფაციცებით მეკითხებოდნენ, თუ როგორ ექცეოდნენ უფროსები წითელ არმიელებს და როგორი იყო წით. ყაზარმაში ცხოვრების პირობები. მეც დაწვრილებით უხსნიდი ყველაფერს და მოუწოდებდი ყველას, როგორც ერთი კაცი, მიეშურებინათ წითელი არმიის რიგებისაკენ—მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დასაცავად.

მე, ყოფილი წითელ არმიელი, ყოველთვის მზათა ვარ ერთი დაძახებისთანავე ჩავდგე წითელ არმიელთა რიგებში და დავიცვა მუშურ-გლეხური ხელისუფლება და ლენინის ანდერძი.

ყოფ. წით. არმ. აპიანცი.

## წითელ არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერი ნარო დარგიდან.*)

„ციმბირის წყლულით“ მძიმედ ავადმყოფობის დროს სხეულის ცვლილებანი უფრო თვალსაჩინო ხდებიან და იგინი იწყება უკვე კუჭიდან. კუჭის ლორწოიანი გარსი ამ შემთხვევაში შეიცავს შედედებულ — სისხლიან ნაჟღენთებს. ლორწოიანი გარსი ცხოველის მეოთხე კუჭისა (სიჩუგ) და თორმეტ-ბეჭდიან ნაწლავისა დიდი ანთების გამოისობით შეღებილია ჩნელ—წითლად და მომეტებულად კი—შავ-წითლად, დაფარულია წყლულებით და დამპალია ქვე-ლორწოიან ქსოვილებით, ნაწლავები გავსებულია სისხლით; პეიერის ქამრებზე პოულობენ ხორკლიან კვანძებს, რომელთა ზედა ნაპირი მოფენილია ყელ ჭირების მზგავსი დიფტირიტი) წყლულით და მოცულია აუარებელი ბაცილებით.

ფილტვები ძრიელ გასიებულია; ლორწოიანი გარსები მთელი სასუნთქისა საშინლად გაწითლებულია და მოფენილია „ევხიმოზებით“, ასეთი სურათი თვალსაჩინოა უფრო საყლაპავზე, რისგამაც სასუნთქიც და საყლაპავიც ვიწროვდებიან და მათი ფუნქციები (მუშაობა) გაძნელებულია.

ტვინი და მისი გარსი სისხლით არის გაჟღენთილი; ტვინის კუჭებში ვხედავთ სისხლიდან გამოყოფილ—ქარვის მზგავს სითხეს; ეს ცვლილება უაღრეს ნიშნად ითვლება ციმბირის წყლულის დასამტკიცებლად.

**სატკივრის მსვლელობა.**

მსვლელობის მხრივ „ციმბირის წყლული“ განიყოფება სამ ნაწილად: ფრიად უმალი (მწვავე), უმალი და ქვე-უმალი. ფრიად უმალი ციმბირის წყლული ხასიათდება—ელვის სისწრაფის მსვლელობით, ესე იგი—ცხოველი მსწრაფლად ხდება ავად, ტოკამს, მიწაზე ეცემა, ცხვირიდან, პირიდან და უკან-ტანიდან სისხლი გადმოსჩქებს და რამოდენიმე წამის, არა უგვიანეს ერთი საათის, განმავლობაში იგი დიდი წვალებით კვდება. ცხოველები ზოგჯერ მუშაობის დროს, გზაში, ბაგეზე ჭამის და მინდვრად ძოვნის დროს ერთბაშად მიწაზე ეცემიან და კვდებიან. ამ ყალიბის „ციმბირის წყლულით“ ხდებიან ავად მომეტებულ ნაწილად ცხვარი და რქოსანი-მღეჭავი საქონელი.

„უმალი ციმბირის წყლული“ ხასიათდება ცოტად თუ ბევრად ნელ-ნელა მსვლელობით. ამ შემთხვევაში ავადმყოფობა გრძელდება 2—12 საათამდე, არა უგვიანეს 24 საათისა; ცხოველი ხდება ავად სიცხის ერთბაშად აწევით 42 გრადუსამდე და თვითეულ გრადუსის მომატებაზე აშკარავდება ტვინის და ფილტვების ანთებაც. ტვინის ანთების დროს ცხოველს ემჩნევა: მოუსვენრობა, გაჯავრება, ფეხების ბარტყუნი, წიხლების სროლა, უკან ფეხებზე შედგომა, ბლავილი თითქოს გაცოფდაო, აქეთ-იქით მიხეთ-მოხეთქება, კანკალი, კბილების ღრეჭა, შემდეგ ჭკუის სისუსტე, დაყრუება, ტოკვა და ბოლოს-დაცემულ მეხისაგან გამოწვეულ მზგავსი-სიკვდილი. ფილტვების ანთების დროს ცხოველს ემჩნევა: აჩქარებული და ძალდატანებული სუნთქა, ქშინვა, კვნესა, გულის ძრიელი კაკუნი, აჩქარებული, მაგრამ მძლივს საგრძნობელი, ძარღვის ცემა, ლორწოიანი გარსების გაყვითლება, ბუნებრივი ნახვრეტებიდან სისხლის დენა, ძაგ-ძაგი, მიხეთ-მოხეთქება და ბოლოს, დახრჩობისაგან გამოწვეული, სიკვდილი.

ქვე-უმალი „ციმბირის წყლული“ ხასიათდება იმავე ნიშნებით, როგორითაც უმალი,—მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს პროცესი უფრო ხანგრძლივია—საშუალოდ 24—48 საათამდე, არა უგვიანეს 5—7 დღისა; ამასთან ერთად ავადმყოფობის ნიშნები უფრო გაორკეცებულია და ყოველივე ამათ ერთვის კიდევ უსასტიკესი მუცლის ტკივილი (კოლიკი).

**ბასრი.**

(გაგრძელება შემდეგ)

*) იხ. „წ. ა.“ № 518.

## ახალი ამბები.

— **რევტრიბუნალში.** 10 ივნისს გაირჩევა უმც. მეთ. მოსამ. სკოლის წით. არმიელის ნიკოლოზ ჯმუხაძის საქმე. ბრალდება სახაზინო ქონების მითვისება.

— **საბიბლიოთეკო სამუშაოს გამოფენა.** დღეს, წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიხსნება ქართული დივიზიის საბიბლიოთეკო სამუშაოს გამოფენა.

— **შრომის დარგის ლექსიკონი.** შრომის კომისარიატი ადგენს ამ ჟამად შრომის დარგში არსებულ სიტყვათა ლექსიკონს.

— **საექსპორტო კომისია.** საქ. სახკომსაბჭომ დაარსა შემოსატან-გასატანი საქონლის კომისია ამირალოვის, ჟოჟიკაშვილის, გრიგორიანცის და ღლონტის შემადგენლობით.

— **ცხენის წყალის ნაპირების გამაგრება.** მდინარე ცხენის წყალის ნაპირების გასამაგრებლად საქ. სახ. კომ. საბჭომ გაიღო 2.000 მანეთი.

— **ციებ-ცხელების წინაალმდეგ.** ფოთში არსებულმა „წითელი ჯვრის“ საზოგადოებამ გადასწყვიტა შეიძინოს საკმაო ქინა ღარიბ მოსახლეობისათვის დასარიგებლათ.

— **საავიაციო საზოგადოებაში.** საჰაერო ფლოტის საზოგადოებამ საქართველოში შეაგროვა, დღიდან მისი დაარსებისა 17.490 მან. საზოგადოებამ დაარსა სპეციალური კურსები და გახსნა თავისი განყოფილებები, თელავის, სიღნაღის და შორაპნის მაზრებში.

— **მოძრავი სამკურნალო რაზმები.** ამ დღეებში ჯანმრთელობის კომისარიატი მაზრებში დაგზავნის სამკურნალო მოძრავ რაზმებს სოფლის მცხოვრებთათვის მკურნალობის გაწევის მიზნით.

— **აბრეშუმის მოსავალი.** წელს, გვალვების გამო საქართველოში აბრეშუმი მალე შემოვა. აბრეშუმის მოსავალს საშუალოზე მეტს მოელიან.

— **საფოსტო-სამგზავრო მიმოსვლა.** მოეწყო საფოსტო-სამგზავრო მიმოსვლა ბორჯომ-ახალციხე-აბასტუმანს, ერივან-დელიჟანს, ტფილის-ვლადიკავკავს, ტფილის-კოჯორ-მანგლისს და სხვა პუნქტებს შორის მტკიცე სამიმოსვლო ტარიფით.

— **წარმოკავშირის წესდება.** საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ცენტრალურ კავშირის „წარმოკავშირის“ წესდება.

## ხელოვნება.

**წერეთლის კონცერტი.** 10 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმრთება ბოშათა სიმღერების ცნობილი შემსრულებლის თ. წერეთლის 1-ლი კონცერტი.

**ესებუას იუბილე.** დღეს, ცირკში გაიმართება მოჭიდავე ნესტორ ესებუას 40 წლის იუბილე. იუბილეზე მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მსახიობები და სხვა ხელოვანნი.

## სასოფლო მეურნეობა

### ხეხილის მავნე ხოჭოების წინააღმდეგ ბრძოლა ეხლა უნდა.

მავნე ხოჭოები დიდ ზიანს აყენებენ ხეხილის ბაღებს. იქ სადაც მეურნე ცუდათ უვლის ბაღს ხოჭოსავალს ანადგურებს. ზოგ წლებში ხოჭიები განსაკუთრებით მძვინვარებენ.

რა სიძლიერით შეუძლია გამრავლება მაისის ხოჭოს აქედან სჩანს: პრუსიის ერთ კუთხეში ერთ წელიწადში შეაგროვეს 9.000 ფუთამდე ხოჭოები. წარმოსადგენია ის ზარალი, რომელსაც მიაყენებდა ეს აუარება მწერების ხროვა იქაურ ბაღებს. ჩვენში ხიჭო ძლიერ აზიანებს ბაღებს, მაგრამ ამ ზარალს არავინ ანგარიშობს და ამიტომ იმაზე ჩვენ რიცხვებით ვერ ვილაპარაკებთ.

ამ მწერების წინაალმდეგ უნდა იქნეს მიღებული შესაფერისი ზომები და თავის დროზე.

ხოჭო ეზაფხულ-ზაფხულის გრილ დილას ხეზე ზის გაბრუვებული, ამით უნდა ისარგებლოს მეურნემ, შემოუაროს ბაღს და ხიდან ხოჭოები ჩამოყაროს. ჯოხით ჩამობერტყვა არ ვარგა, რადგან დაზიანდება ხის ნორჩი ტოტები.

ხელით უნდა გავანძრიოთ ყოველი ტოტი. ხოჭოები ბალახებში ძნელი ასაკრეფია, ამიტომ ხის ქვეშ უნდა გაუფინოთ ფარდაგი ან ჰილოფი.

ჩამოცვენილი ხოჭოები რაიმე ჭურჭელში უნდა ჩავყაროთ და ზედ ცხელი წყალი უნდა დავასხათ. ცოტა ხნის შემდეგ ხოჭოები წყალში დაიხოცებიან. ისინი შეიძლება ცოტ-ცოტა ვაძლიოთ შინაურ ფრინველებს ან სანაკელე კომპოსტში გაურიოთ.

ხოჭოების წინაალმდეგ ბრძოლა საერთო ძალით უნდა. ამიტომ მთელმა კუთხემ სადაც ხოჭოებია გავრცელებული საერთო მათ წინაალმდეგ ბრძოლის წესი უნდა გამოიმუშაოს.

ხოჭოების ჭიებთან ბრძოლა უფრო ძნელია. იმათ გამრავლებას შევამჩნევთ მხოლოთ მაშინ, როცა სალი, ახალგაზრდა ნარგავები ერთბაშათ იწყებენ დაჭკნობას და გახმობას. ამ შემთხვევაში ყველაზე უმჯობესია ასეთი ადგილების გადაბარვა. მატლები მიწის ზედა-პირზე ექცევიან. აქ მათ ჰკლავს მზე ან ფრინველები ყლაპავენ. მაისის და სხვა ხოჭოებს ძლიერ უყვართ სალათის ძირები. ამით სარგებლობენ დაწინაურებულ ქვეყნების მეურნეები. ისინი ბაღებში აქა-იქ სთესენ სალათას და როცა მათ ჭიები დაესევიან, მაშინ სთხრიან მცენარის ირგვლივ ნიადაგს და მატლებს სწყვეტენ. თუ ხოჭოები ფოთლებს გაუჩნდა, მაშინ დაზიანებულ ხეებს უნდა ვასხუროთ პარიზის სითხე. პარიზის ფხვნილის მომზადებაზე შემდეგ წერილში.

**მეურნე.**

## სამხედ. საქმე

### ქიმიური თვალთვალი.

მტრის მიერ განზრახულ ქიმიურ თავდასხმის საწინააღმდეგო წინასწარ ზომების მისაღებათ, საჭიროა მტერზედ განსაკუთრებული ქიმიური თვალთვალის (საიირო) მოწყობა.

ქიმიური თვალთვალი მტერზედ უნდა განუწყვეტელი იყოს. ქიმიურ თვალთვალის სამსახურს უნდა ასრულებდენ ქიმიურ საქმეში გაწვრთნილი განსაკუთრებული პირნი; იმ სამხედრო ნაწილებში, სადაც არსებობს ქიმიური გუნდი, ქიმიური მოთვალთვალენი ინიშნებიან ამ გუნდის შემადგენლობიდან.

ქიმიური მოთვალთვალენი ლაგდებიან ან განსაკუთრებულ ამორჩეულ პუნქტებში, ან ისინი სხვა დანარჩენ მოთვალთვალეებთან ერთად თავსდებიან და თავიანთ საქმეს ასრულებენ. ამავე მიზნით მათ აეროპლანებიდან შეუძლიათ თვალთვალი, როდესაც ერთად მოთავსებულია სხვა და სხვა დანიშნულების მოთვალთვალენი, მაშინ ერთ და იგივე მოთვალთვალეს არ უნდა მიენდოს მტრის თვალთვალი სხვა და სხვა არეში. ყოველ ცალკე მოთვალთვალეს უნდა სასტიკად განსაზღვრული ამოცანა მიენდოს.

ქიმიურ მოთვალთვალეთა მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნონ წინმდებარე ადგილმდებარეობას და ზოგიერთ განსაკუთრებული ნიშნების მიხედვით, რამდენადაც კი შესაძლო იქნება წინასწარ აღმოაჩინონ, რომ მოწინააღმდეგე ემზადება ქიმიურ თავდასხმისათვის. ის ნიშნები, რომლითაც შეიძლება მსჯელობა მოწინააღმდეგის ქიმიურ თავდასხმის შესახებ, სხვა და სხვანაირია იმის და მიხედვით, თუ რა გვარ ქიმიურ თავდასხმისთვის ემზადება მტერი.

ამ მხრივ ყველაზედ ადვილი მისახვედრია, როდესაც მოწინააღმდეგე აირ-ბალონიან იერიშისათვის ემზადება, ქიმიურ ნაღმტყორცნთა და შხამიან კვამლით იერიშის სამზადისის ნიშნების თვალთვალი უფრო მოძნელოა. რაც შეეხება ქიმიურ ყუმბარებით სროლისათვის მომზადების ნიშნებს, ამ გვარი არ არსებობენ, ვინაიდან იგი არაფრით არ განირჩევა არტილერიის ჩვეულებრივ სროლისათვის მზადებისაგან.

ქიმიურ თავდასხმისათვის მზადების ნიშნები მრავალია და მით ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მებრძოლ ნაწილების ქიმიურ საშუალებათა საფრთხის საწინააღმდეგოდ თავის დროზედ სათანადო ზომების მისაღებად.

**გ. ბ—შვილი**

## მეცნიერება და ტექნიკა

### ახალი სისტემის ორთქლმავალები.

ამერიკის გამოჩენილ ბალდვინის ორთქლმავალთა საამშენებლო ქარხანაში შემუშავებული იქნა ახალი სისტემის ორთქლმავალები—ორთქლის აკუმულიატორებით. ასეთი სისტემის ორთქლმავალებს უწოდებენ თერმო-ორთქლმავალებს.

ახალი სისტემის ორთქლმავალები მით არიან შესანიშნავი, რომ მათ არ სჭირდებათ სათბობი მასალა და მაშასადამე არც კვამლი და არც ნაცარი მათ არა აქვთ.

ასეთი ტიპის ორთქლმავალები უმთავრესად იხმარებიან ისეთ რაიონებში, სადაც მავნებელი და დასაშვები არაა კვამლი და შეუძლებელია ელექტროფიკაციის განვითარება.

ორთქლმავალი მეტად უცნაური აგებულობისაა და მით, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოც. მისი ქვაბი ივსება წყლით ორ მესამედამდე. წყალი ვრცელდება პირველად უძრავ ე. წ. სადგურის ქვაბში, სადაც თითეულ კვადრატიულ დიუმზე ხდება 900 გირვანქის ძალის დაწოლა ან 15 ატმოსფერით დაწოლა. შემდეგ ორთქლი გადის მანქანის ეგრედ წოდებულ რედუქციონურ ქარულაში.

შემდეგ, რამდენადაც გამოყენებული იქნება წყლის რაოდენობა, იმდენად წყლის მაღლული სითბო იწვევს შემდეგში აორთქლებას და ასე ქვევით.

ორთქლმავალებში სითბოს მარაგი კმარა 3—4 საათის განმავლობაში.

### „ი ა კ ო“.

ბერლინის ერთ ერთ ქარხანაში ახდენენ მეტად საინტერესო ცდებს ერთი ახალგაზრდა რუს იაკობსონის გამოგონებაზე.

გამოგონება წარმოადგენს უცნაურად აგებულ აპარატს, რომელსაც შეუძლიან ბგერების გაძლიერება და თავშეყრა.

აპარატის უმთავრესი ნაწილია ე. წ. „იაკო“ ანუ დაუსრულებელი სიგრძის ფოლადის ბაფთა (ლენტა) რომლის ერთ თავში აღბეჭდილია ჰაერის ტალღების მსგავსი ტალღები. ბაფთა მოძრაობაში მოდის პაწია მატორის საშვალებით ან და გამოიწვევა მასზე საჭირო შერხევა ჰაერის ტალღებისა. აპარატი საუკეთესო საშვალებაა მიტინგების დროს.

ამ ჟამად იაკობსონი ამზადებს ასეთი ტიპის აპარატს დიდი ძალით და ფიქრობს მოათავსოს კრემლის სასახლის ერთ-ერთ კოშკის წვერზე.

განსაზღვრულ საათებში აპარატი ლენინის ხსოვნის და რევოლიუციის აღსანიშნავად მთელ ქალაქს ხმამაღლა გადასცემს სხვა და სხვა ლოზუნგებს და მოწოდებებს.

**შეიხ.**

ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) მიეცემათ უფასო დამატება: **მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.